Memorandum

of Understanding

Tbilisi 08.11.2024

N(N)LE „Youth Surgery Fund Georgia" (hereinafter - the **"Fund"**), represented by its director Nino Chumburidze on one hand and **"American Hospital Network" LLC** (hereinafter - **"Medical Institution"**), represented by its director - Ercan Ayyildiz on the other hand (hereinafter jointly - the „Parties", and separately - the „Party"), express our desire to cooperate and enter into this Memorandum of Understanding (hereinafter - the MoU).

Article 1. Scope of the MoU

The purpose of the memorandum is to ensure the availability of medical services for patients and, for this purpose, in case of need for medical services for patients, the fund will collect appropriate funds and use them for patients with appropriate needs.

Article 2. Terms of Parties Cooperation

1. Within the scope of the cooperation stipulated by the MoU, within their own competence, the Parties shall exchange with experience and appropriate information, within the limits allowed by the legislation of Georgia.
2. Within the framework of the MoU and in accordance with the needs of its patients the Medical Institution shall ensure:

   a) Timely information to the Fund on the necessity of funds for the provision of medical services to its patients.

   b) To receive funds from the Fund for the use of patients with appropriate needs (to reimburse the cost of medical services).

3. Within the framework of the MoU the Fund shall ensure:

   a) Use its best efforts to raise the necessary funds;

   b) To transfer the collected funds to the Medical Institution in a timely manner – as agreed by the Parties: as a whole sum or in partial instalments;

4. This MoU is intended only to help patients for charitable purposes and does not stipulate financial obligations for either of the Parties, except for the issue specified in clause 2.2. (b).
5. The signing of this present MoU does not prevent any Party from executing similar or identical MoUs, contracts or agreements with any third party within the limits allowed by the legislation of Georgia
6. The Parties, while fulfilling their undertakings prescribed by this MoU shall comply with the legislation of Georgia, including and not limited to the Law of Georgia "On Personal Data Protection" whilst (and if) exchanging any data on patients.
7. To ensure the goals defined by the present MoU, the Parties will designate contact persons.

Article 3. Term and Termination of MoU

1. The present MoU shall enter into the force from the date of signature of the Parties and be valid for 7 (seven) years.
2. The MoU can be terminated by mutual agreement of the Parties or at the initiative of one of the Parties, by sending a written notification to the other Party.

Article 4. Miscellaneous

1. This MoU is governed and interpreted in accordance with the legislation of Georgia. In cases that are not provided for in the memorandum, the parties will be guided by the norms governing the relationship established by the law and/or by the agreement signed between them (if any).
2. MoU can be amended via written documents executed by the Parties, which become integral part of this MoU.
3. Disputes related to the implementation and interpretation of this MoU will be resolved through consultations and amicable negotiations between the Parties.
4. The memorandum is drawn up in 2 (two) copies with equal legal force, in Georgian and English languages. In case of inconsistency between the languages, the Georgian version shall prevail. One copy of the signed MoU will be given to each party.

N(N)LE „Youth Surgery Fund Georgia"	„American Hospital Network" LLC
Director	Director
Nino Chumburidze	Ercan Ayyildiz

მემორანდუმი

ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

თბილისი 08.11.2024

ერთი მხრივ, **ა(ა)იპ „იუზ სერჯერი ფანდ ჯორჯია"** (შემდგომში - **„ფონდი"**), წარმოდგენილი დირექტორის ნინო ჭუმბურიძის სახით, ხოლო მეორე მხრივ, **შპს „ამერიკან ჰოსპიტალ ნეთვორქ"** (შემდგომში - **"სამედიცინო დაწესებულება"**), წარმოდგენილი მისი დირექტორის - ერჯან აიილდიზის სახით (შემდგომში ერთობლივად - მხარეები, ხოლო ცალ-ცალკე - მხარე), ვაცხადებთ, რომ ჩვენ ქვემორე ხელისმომწერნი გამოვხატავთ თანამშრომლობის სურვილს და ვდებთ წინამდებარე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს (შემდგომში - „მემორანდუმი").

მუხლი 1. მემორანდუმის საგანი

მემორანდუმის მიზანია პაციენტების სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და აღნიშნული მიზნით, პაციენტთათვის სამედიცინო მომსახურების საჭიროების შემთხვევაში, ფონდის მიერ შესაბამისი სახსრების მოგროვება და მათი შესაბამისი საჭიროების მქონე პაციენტთათვის მოხმარება.

მუხლი 2. მხარეთა თანამშრომლობის პირობები

1. მემორანდუმით გათვალისწინებული თანამშრომლობის ფარგლებში, საკუთარი კომპეტენციის შესაბამისად, მხარეები უზრუნველყოფენ სათანადო ინფორმაციის გაცვლას, საქართველოს კანონმდებლობით დასაშვებ ფარგლებში.

2. მემორანდუმის ფარგლებში სამედიცინო დაწესებულების პაციენტთა საჭიროების შესაბამისად, უზრუნველყოფს:

   ა) ფონდის დროულად ინფორმირებას სამედიცინო მომსახურებისთვის სახსრების საჭიროების თაობაზე;
   ბ) ფონდისგან სახსრების მიღებას მათი შესაბამისი საჭიროების მქონე პაციენტთათვის მოსახმარებლად (სამედიცინო მომსახურების ღირებულების ასანაზღაურებლად).

3. მემორანდუმის ფარგლებში ფონდი უზრუნველყოფს:

   ა) გამოიყენოს მაქსიმალური ძალისხმევა საჭირო სახსრების მოსაზიდად;
   ბ) დროულად გადაურიცხოს სამედიცინო დაწესებულებას შეგროვებული სახსრები - მხარეთა შეთანხმებისამებრ, ერთიანად ან დანაწევრებულ ტრანშებად;

4. წინამდებარე მემორანდუმი მიზნად ისახავს მხოლოდ შესაძლებლობისამებრ, საქველმოქმედო მიზნით პაციენტების დახმარებას და არ ითვალისწინებს მხარეთათვის ფინანსურ ვალდებულებებს, გარდა 2.2. (ბ) პუნქტით განსაზღვრული შემთხვევებისა.

5. წინამდებარე მემორანდუმის გაფორმება არ უშლის ხელს არცერთ მხარეს გააფორმოს ანალოგიური ან მსგავსი შინაარსის მემორანდუმი/ხელშეკრულება/შეთანხმება ნებისმიერ მესამე მხარესთან საქართველოს კანონმდებლობით დასაშვებ ფარგლებში.

6. მხარეები წინამდებარე მემორანდუმით განსაზღვრული საკითხების შესრულებისას დაიცავენ საქართველოს კანონმდებლობას, მათ შორის და არამხოლოდ პაციენტების თაობაზე ინფორმაციის მიწოდების ფარგლებში - საქართველოს კანონს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ".

7. მემორანდუმით განსაზღვრული მიზნების უზრუნველსაყოფად მხარეები გამოყოფენ საკონტაქტო პირებს.

მუხლი 3. მემორანდუმის მოქმედების ვადა და შეწყვეტა

1. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და ძალაშია 7 (შვიდი) წლის ვადით.

2. მემორანდუმი შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმებით ან ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარესთან აღნიშნულის შესახებ წერილობითი შეტყობინების გაგზავნის შედეგად.

მუხლი 4. დამატებითი დებულებები

1. წინამდებარე მემორანდუმი რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. იმ შემთხვევებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული მემორანდუმით, მხარეები იხელმძღვანელებენ კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმებით ან/და მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

2. მემორანდუმში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა წერილობითი შეთანხმებით, რომელიც წინამდებარე მემორანდუმის განუყოფელი ნაწილია.

3. *წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასა და განმარტებასთან* დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება მხარეთა შორის კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების გზით.

4. მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორ) ეგზემპლარად, ქართულ და ინგლისურენებზე. ენებს შორის შეუსაბამობისას უპირატესობაენიჭება ქართულ ვერსიას. თითოეულ მხარეს გადაეცემა ხელმოწერილი მემორანდუმის ერთი ეგზემპლარი.

მხარეთა ხელმოწერები

ა(ა)იპ „იუზ სერჯერი ფანდ ჯორჯია"	შპს „ამერიკან ჰოსპიტალ ნეთვორქ"
დირექტორი	დირექტორი
ნინო ჭუმბურიძე	ერჯან აიილდიზ